

თინათინ გაბელაია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ცეციტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა
რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ქალის დრამა სცენაზე

(თემურ ჩხეიძის ერთი სპექტაკლის მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული თეატრი, თემურ ჩხეიძე, „ბრმა მხედველი (მოლი სუინი)“, ნანი ჩიქვინიძე.

წარმოშობით ირლანდიელ დრამატურგს - ბრაიან ფრილს - ერთობ მსუყე, რეგალიებითა და მრავალგვარი ტიტულით გაჯერებული ბიოგრაფია აქვს. კლასიკოსს სწორედ მწერლობამ მოუხვეჭა ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწის სახელი. დღესაც, თეატრალურ სამყაროში, ბრაიან ფრილის პიესები ისეთივე ინტერესს აღძრავს, ისევე ხშირად იდგმება სცენაზე, როგორც ეს მისი კარიერის საწყის ეტაპზე ხდებოდა.

ცნობილია, რომ თეატრალური ხელოვნების განვითარების მანძილზე, დრამატურგები ხშირად ირგებდნენ რეჟისორის ამპლუასაც - თავდაპირველად, მრავალი საუკუნის წინ, ანტიკური საბერძნეთსა და მოგვიანებით, რომის იმპერიაში, ან აღორძინების პერიოდის ინგლისსა თუ სხვა ქვეყნებში, თავად დგამდნენ კიდევ საკუთარ პიესებს. ბრაიან ფრილიც ზედმიწევნით ფაქიზად, გულისყურით ეკიდებოდა დრამატურგიული ნაწარმოების სპექტაკლადქცევის, სცენაზე ტექსტის გაცოცხლების პროცესს. იმავეს მოითხოვდა იმ რეჟისორისგანაც, რომელიც მისი პიესის დადგმის იდეით განიმსჭვალებოდა. ძალზე ხშირად აპროტესტებდა იმგვარი „ორიგინალური“ სცენური ადაპტაციის შემთხვევებს, სადაც მისი ქმნილებების დედააბრი შეცვლილად მიაჩნდა.

„ირლანდიელ ჩეხოვად“ აღიარებული ავტორი აქტიურ თეატრალურ მოღვაწეობას 1960 წელს შეუდგა. ექვსი თვის განმავლობაში ესწრებოდა გამოჩენილი ირლანდიელი რეჟისორის, ტაირონ გათრის რეპეტიციებს. უკვე 1964 წელს პიესამ „ფილადელფია,

მოვედი!“ მას, როგორც დრამატურგს, საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამ წარმატებას მოჰყვა არანაკლებ საინტერესო ნამუშევრები, რომელთა შორისაა: „კას მაგუარის სიყვარული“ (1966); „საყვარლები“ (1967); „კრისტალი და მელა“ (1968); „ქალაქის თავისუფლება“ (1973); „რწმენის მკურნალი“ (1979); „თარგმანები“; ჩეხოვის „სამი დის“ ფრილის ვერსია; „ცეკვა ლულნასაზე“ (1990); „ისტორიის შექმნა“ (1988); „მშვენიერი ტენესი“ (1993); „მოლი სუინი“ (1994). ჩამოთვლილ პიესათა უმრავლესობა მსოფლიოს არაერთ ენაზე ითარგმნა და დაიდგა. ბრაიან ფრილის ბოლო პერიოდის ნამუშევრებს შორის კი, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი პიესას – „მოლი სუინი“ უჭირავს.

„... სპექტაკლის პრემიერა 1994 წელს დუბლინის გეიტს თეატრში შედგა. მას შემდეგ იგი ითამაშეს ლონდონის, პარიზის, მილანის, ნიუ-იორკის სცენებზე. მიღებული აქვს ხუთი თეატრალური ჯილდო. ნიუ-იორკის კრიტიკოსთა კავშირის 1996 წლის სამი ნომინაცია: საუკეთესო პიესა, საუკეთესო სამი მსახიობი, საუკეთესო დადგმა. 1997 წელს კი „მოლი სუინს“, თეატრალური სამყაროსთვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ლოურენს ოლივიეს (სახელობის) პრემია მიენიჭა“.¹

„მოლი სუინი“ თავდაპირველად თავად ბრაიან ფრილმა დადგა. შემდეგ იყო პიესის ამერიკული პრემიერაც, 1996 წელს. ბროდვეის პროგრამის შენიშვნაში ფრილი აღნიშნავს, რომ პიესის იდეა, ნაწილობრივ, შთააგონა ოლივერ საქსის ნარკვევმა.² „მოლი სუინის“ წარმატებული სტარტის შემდეგ, დღემდე არ განელეებულა ინტერესი ფრილის ამ კონკრეტული პიესისადმი. სახეზეა მისი ხელახალი გააზრების მცდელობები.

საქართველოში „მოლი სუინის“ პრემიერა თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართულ ნაწილში, მარჯანიშვილის თეატრის „სხვენზე“ შედგა. რეჟისორი – თემურ ჩხეიძე. მონაწილეობდნენ: ნანი ჩიქვინიძე, ალექო მახარობლიშვილი და გოგა პიპინაშვილი. მოგვიანებით, 2010 წლის 19 ოქტომბერს, იგი განახლებული შემადგენლობით გათამაშდა და დღემდე რეპერტუარშია. სპექტაკლში ჟღერს გია ყანჩელის მუსიკა; სცენოგრაფია ეკუთვნის – გიორგი (გოგი) ალექსი-მესხიშვილს; ქორეოგრაფია –

¹ ლოლბერიძე, რეჟისორი – რომელიც არ ჩანს, 2011, გვ. 69.

² Sacks, An anthropologist on Mars: seven paradoxical tales, 1995, გვ. 66-88.

გია მარლანია. სპექტაკლის განახლებულ რედაქციაში მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე (მოლი სუინი), გია ბურჯანაძე (ექიმი რაისი), ალეკო მახარობლიშვილი (ფრენკ სუინი.) პიესა ქართულ ენაზე თარგმნა თამაზ გოდერძიშვილმა.

თეატრის ზოგიერთი კრიტიკოსი, მკვლევარი¹ „მოლი სუინს“ სტრუქტურულად ბრაიან ფრილის ერთ-ერთ, ასევე წარმატებულ პიესას სახელწოდებით – „რწმენის მკურნალი“ ამსგავსებს, რადგან მისი წინამორბედივით, ეს პიესაც მონოლოგების პრინციპითაა აგებული. თუმცა, მსგავსება ხელს არ უშლის დრამატულ ნაწარმოებს თავისი ადგილი დაიმკვიდროს იმ რჩეულ პიესებს შორის, რომლებმაც მწერალს აღიარება მოუტანა. კრიტიკოსები პიესის განსაკუთრებულ შესაძლებლობებზე ხშირად საუბრობენ. აღნიშნავენ, რომ ბრაიან ფრილის ამ პიესის პერსონაჟები, მიუხედავად წინა ნაწარმოებებთან გარკვეული მსგავსებებისა, მაინც ინარჩუნებენ თვითმყოფადობას, თავისთავადობას. ღრმა ემოციას აღძრავენ მნახველში და თავს ამახსოვრებენ მას...

განსაკუთრებით დადებითად წარმოინდა ბრაიან ფრილის ამ პიესის („მოლი სუინის“) შესაძლებლობები პანდემიის პირობებში. თეატრის მკვლევრებს არ გამოჰპარვიათ შარლოტ მურის² ამავე სახელწოდების სპექტაკლი. საერთაშორისო პრესა ერთხმად აღაპარაკდა „მოლი სუინის“ გაცოცხლების საინტერესო ხერხზე. ისინი აღნიშნავენ, რომ ახალმა პლატფორმამ – ონლაინ თეატრმა – ეკრანზე ხილვისთანავე შეისისხლხორცა ბალიბეგელი ქალის დრამა. ბრაიან ფრილის შემოქმედების უსაზღვრო პოტენციალს ცხადყოფს ცნობილ ჟურნალებში გამოქვეყნებული რეცენზიებისა და წერილების აურაცხელი რაოდენობა.³ დრამატურგი თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ურთულეს გამოწვევებს ღირსეულად პასუხობს.

ქართული სათეატრო ხელოვნების შესწავლის პროცესში, თემურ ჩხეიძის „მოლი სუინის“ სცენური ინტერპრეტაცია სხვადასხვა ნიშნითაა საყურადღებო. თანამედროვე ქართველი მაცურებლის-

1 Drediman, Viewpoints – Powerful Digital Revivals Of Brian Friel’s Faith Healer And Molly Sweeney, 2021.

2 Ting, An Interview with Director Charlotte Moore, 2011.

3 The Wall Street Journal; The New Yorker; The New York Times; Associated Press; NY Post; Daily News; New Yorker; Backstage; Theatermania; Wolf Entertainment Guide; Woman Around Town; Curtain Up; Talk Entertainment.

თვის ბრაიან ფრილის დრამატურგია, ერთი შეხედვით, უჩვეულო მოცემულობაა. სპექტაკლი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს, როგორც დრამატურგის თავისებურებით, ასევე იქ დასმული აქცენტებითაც, რაც, რა თქმა უნდა, რეჟისურაში, ჩხეიძისათვის დამახასიათებელ ხელწერაში იკითხება.

საკვლევ ობიექტად მოლი სუინის პერსონაჟი ავიღე. სტატიის მიზანია განვსაზღვრო, რამდენად ყოვლისმომცველად აისახა მოლი სუინის დრამა ქართულ თეატრში? აღვვლებს თუ არა თანამედროვე ქართველ მაყურებელს ეს პერსონა ისევე, როგორც თეატრის ისტორიაში ცნობილ ქალთა დაუვიწყარი მხატვრული სახეები?

აღრეც და ახლაც, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, ის რაც ადამიანს აწუხებს, ტანჯავს და არ აძლევს შესაძლებლობას იყოს სრულფასოვნად ბედნიერი, დღემდე შესწავლის ობიექტია მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში. ხელოვნებაში, კონკრეტულად კი სათეატრო ხელოვნებაში. მოლი სუინი არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ მის ისტორიას საფუძვლად რეალური ამბები თუ მოვლენები უდევს, არამედ სპექტაკლი გვიბიძგებს იმისკენ, რომ თანამედროვე ადამიანის (ამ შემთხვევაში მოლის) დრამის ჭეშმარიტი არსი უფრო განვამოგადოთ. ქალის ტრაგიკული ისტორია „სხვენის“ ინტიმურ ატმოსფეროში შეგნებულადაა მოთხრობილი. აღმქმელის მგრძნობელობაზე ძლიერ ზემოქმედებს სცენაზე გაჟღერებული ყოველი მკაფიო თუ ფაქიზი რეპლიკა; ყოველი ჟესტი იმისთვისაა, რომ უფრო ღრმად შეიჭრას მაყურებლის შინაგან სამყაროში, იქ ამოქმედდეს, იმ მიჯნამდე მიაღწიოს, სადაც მოაზროვნე თვითანალიზს იწყებს. „ამბავი, რომელიც მაყურებელმა პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებით იცის, უცნობი რაკურსით, უჩვეულო კუთხით უნდა დავინახოთ. იმ კუთხით, საიდანაც მას ეს საგანი არასოდეს უნახავს. ეს ყოველთვის საინტერესოა“.¹ ამიტომაც, ქართველი მოლის პერსონაჟი უნებლიედ აღძრავს სურვილს დავფიქრდეთ არა მხოლოდ უცნობ პერსონათა, არამედ საკუთარ ბედზე, სხვადასხვა სახის ბრმა ექსპერიმენტს მინდობილთა ბედისწერაზეც. ეგრეთ წოდებული ხელოვნური ინტელექტის ფორმირებით დაინტერესებული ეპოქა კი ჩვენდა საუბედუროდ თუ - ზოგჯერ, ბედნიერი გამონაკლისების

1 თუმანიშვილი, სანამ რეპეტიცია დაიწყება, 2008, გვ. 30.

მეშვეობით – საბედნიეროდაც, ბრმა ექსპერიმენტების დეფიციტს არ განიცდის.

პანდემიის წნეხში მცხოვრებ მოაზროვნეებს სამედიცინო ექსპერიმენტებისადმი არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქვთ. ერთი მხრივ, სენსაციური, სასარგებლო აღმოჩენის მოლოდინს, მეორე მხრივ, გახმაურებული კვლევების საზიანო შედეგები აქარწყლებს. სამედიცინო ექსპერიმენტებისადმი გაცხოველებული ინტერესი, წინა საუკუნეებიდან მოყოლებული, დღემდე აქტუალურია, მაგრამ, ასევე არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობდნენ რეალური ინდივიდები, რომელთა დრამასაც სწორედ ამ „პროგრესის სახელით“ ჩატარებულ წარუმატებელ ექსპერიმენტში მონაწილეობა წარმოადგენს. ქართულ სადადგმო ვერსიაშიც, შუა ხნის მოლი ამგვარი საცდელი კვლევის მსხვერპლი აღმოჩნდება. იგი იმ სამედიცინო ექსპერიმენტის თანამონაწილეა, რომლის უმთავრეს პრიორიტეტად, როგორც ირკვევა, არ მიიჩნევა ადამიანის ფსიქო-სომატური სიჯანსაღე. ალბათ, შემთხვევითობას ვერ მივაწერთ რეჟისორის მიერ ბრმა ქალის მხედველად „მონათვლის“ მცდელობასაც. წინამდებარე ნაშრომით შევეცდები მოლი სუინი გავაანალიზო თანამედროვე ქართულ თეატრში განხორციელებული სპექტაკლის, კერძოდ კი ერთ-ერთი აღიარებული რეჟისორის ბოლო წლების შემოქმედების მაგალითზე. ის მოლი სუინი, რომელსაც არაერთი კრიტიკული წერილი მიუძღვნეს უცხოელმა და ქართველმა თეატრის კრიტიკოსებმა.

სპექტაკლის დრამატურგია, თავისი სტრუქტურითა და ესთეტიკით რადიკალურად განსხვავდება თემურ ჩხეიძის მიერ ადრეულ წლებში დადგმული წარმოდგენებისგან. ირლანდიელი დრამატურგის პიესა „ბრმა მხედველს“, ერთი შეხედვით, ქართველი მაყურებლისთვის უჩვეულო ტემპორიტმი აქვს, თუმცა ეს ხელს არ უშლის მათ, სულგანაბლებმა უცქირონ სპექტაკლს, მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე არაფერია თვალისმომჭრელი. რეჟისორი მხოლოდ მინიმალური საშუალებებით ცდილობს ჩაგვითრიოს ამროვნებაში, ალგვიძრას განსჯის სურვილი. სპექტაკლს მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში თავისი გამორჩეული ნიშა დღემდე უნარჩუნდება. რა განაპირობებს ამ ფაქტს? რა სიღრმისაა იმ უსინათლო პერსონაჟის ხედვის მასშტაბი, მსახიობი ნანი ჩიქვინიძე რომ ასახიერებს?

შუახნის მოლი ერთგვარ სიმბოლოს მოგვაგონებს მსხვერპლისა, რომელსაც „კლასიკურ“ მსხვერპლად ვერ შევრაცხავთ. ასი წუთის განმავლობაში, თანდათან მივიწვეთ ქალის დრამის ყველაზე შორეული შრისკენ. ვმძიმდებით, არა მისი უსინათლობის დრამატობით, არამედ პირიქით, იმ ე.წ. სამომავლო პერსპექტივით, რომელიც ქალს მოჩვენებით კეთილდღეობას ჰპირდება (იგულისხმება თვალის ჩინის დაბრუნება ოპერაციის შედეგად).

უსინათლო მოლიში წარმოჩენილია ადამიანში ჩადებული უსაზღვრო სასიცოცხლო ძალა, შეიგრძნობა სიცოცხლის უშრეტი პოტენციალი, რომელსაც ვერ თრგუნავს ფიზიკური ნაკლი. ხოლო თვალხილული, ნაოპერაციები მოლი, საწინააღმდეგო მოვლენაა. თვალსა და ხელს შუა ნადგურდება მისი პიროვნულობა. მაყურებელი უცქერს ფიზიკურად ჯანსაღ, მაგრამ სასიცოცხლო ენერჯი-დაშრეტილ ქალს... ყოველივე ზემოთქმულს ხელშესახებად, ძალზე დრამატულად გადმოგვცემს მსახიობი ნანი ჩიქვინიძე. ამისთვის ის იყენებს ძუნწ, მაგრამ სახიერ მიმიკას, გამოხედვას, დუმილს. მისი გამომსახველობითი არსენალი, ერთდროულად თავშეკავებული, ასკეტური, მინიმალისტური და, იმავდროულად, ძალზე მეტყველი, მრავლისმთქმელია.

გონივრულად ათვისებული კამერული სივრცე ამოქმედებას იწყებს. სამი სხვადასხვა განზომილებიდან ვუცქერთ სცენაზე გათამაშებულ დრამას. „ბრმა მხედველი“ გვხუსხავს თავისი ორიგინალური შინაგანი სამყაროთი, განსაკუთრებული ნიუანსების შეგრძნებისა და აღქმის უნარით. განსაკუთრებით ამაღელვებელია ნანი ჩიქვინიძის მიერ განსახიერებული აცეკვებული მოლის მონოლოგი. უსინათლო ქალის ღრმად ემოციური აღსარება მაყურებელს თავადაც უბიძგებს ანალიზისკენ, მის მიერ ჩადენილი მოქმედება-საქციელის განსჯისკენ. სცენაზე თამაშდება ის, რაზეც არა თუ საუბარი, არამედ ფიქრიც ძლიერ გვიმძიმს.

სცენაზე მყოფ თითოეულ მოქმედ პირს საკუთარი მოტივაცია გააჩნია. ყოველი მათგანის ქმედებას, საქციელს გარკვეული ბრახვები განსაზღვრავენ. ა. მახარობლიშვილის განსახიერებულ ფრენკს სურს მეუღლეს თვალისჩინი დაუბრუნოს. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, შიშობს, ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩება თუ კარდინალურად შეიცვლება. ხომ შეიძლება მოლიმ „სულ სხვა თვალით შეხედოს“ ქმარს?! ექიმი რაისი (გ. ბურჯანაძე) უდავოდ

პატივმოყვარე კაცია. მას სურს უნიკალური ოპერაციით საქვეყნოდ გაითქვას სახელი და აღიარება მოიპოვოს. მაგრამ, მოლი სუინზე (ნ. ჩიქვინიძე) აბსოლუტურად არავინ ფიქრობს. ხომ სავსებით დასაშვებია, რომ მან სამყარო ისეთი, როგორიც ის არის, ვერ მიიღოს, სათანადოდ ვერ აღიქვას. ამაზე თუ დაფიქრებულა ვინმე?!

ქართველ მკვლევართა გარკვეული ჯგუფი, ბრაიან ფრილის პიესის ქართულ სცენაზე დაბადებას უარყოფითად გამოეხმაურა: „ბრმა მხედველში“ მსახიობებს ერთმანეთთან ურთიერთობა აკლიათ. სცენაზე ერთად დგანან, მაგრამ მართო თამაშობენ. რეჟისორის გარეშე დარჩენილთა საშემსრულებლო ხელოვნება ბოლომდე არ არის წარმოჩენილი... პირობითობა მაყურებელს აზროვნებისკენ უბიძგებს, მაგრამ თეატრში იმისთვის არ დავდივართ, რომ სცენიდან წარმოთქმულის წარმოსახვა დავიწყოთ. ფორმა და შინაარსი ერთად უნდა მოგვეწოდებოდეს და არა ცალცალკე, ან ერთმანეთის დამოუკიდებლად“.¹

უხვადაა განსხვავებული მოსაზრებებიც ჩხეიძისეულ დადგმაზე: „...რეჟისორი ესწრაფვის იმას, რომ მაქსიმალურად მიუახლოვდეს წარმოდგენა მაყურებელს, ჩაიხედოს მის სულში, გამოაფხიზლოს მისი გრძობა-გონება, გულახდილ დიალოგში ჩააბას თანამედროვე ადამიანი, ღრმააზროვანი ფიქრისთვის განაწყოს, სიცოცხლისა და სიტყვის ფასი, მისი ჯადოსნური არსი, მრავალაზროვანი ქვეტექსტი შეაცნობინოს. ამავე დროს კი აამაღლოს ქართულ თეატრში მორყეული მეტყველების კულტურა, განავითაროს და დახვეწოს იგი“.²

სპექტაკლში არსებულ უხვსიტყვიან მონოლოგებს, სამი ადამიანის წრფელ თვითგანსჯას, პარტერში მსხდომთა მდუმარე აღსარებაც უერთდება. ანალიტიკის აქტში შეტყუებულ მაყურებელს, თანამედროვე ქართულ სცენაზე განხორციელებულ კამერულ სპექტაკლებს შორის, მართლაც გამორჩეულად ამხსოვრდება „ბრმა მხედველი“, თანაც, არა იმიტომ, რომ სპექტაკლი მხოლოდ ერთი კონკრეტული პერსონაჟის ბედ-იღბალზე გვაფიქრებს, არამედ იმ ნიშნითაც, რომ მოლი ჩვენს გონებაში სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ის განუსჯელად გამეტებული პიროვნულობის

1 თამარ კიკნაველიძე. თეატრალური ფესტივალის შავ-თეთრი დღეები.

<https://tbilisiinternational.com/ge/press-office/press/41/teatraluri-pestivalis-shav-tetri-dgeebi>

2 ქუთათელაძე, ბრმა მხედველი, 2010, გვ. 27-28.

სახე-ხატი, არაკლასიკური მსხვერპლი ხდება... ბრაიან ფრილის მიერ შექმნილი პერსონაჟი ძალაუნებურად გვაფიქრებს იმგვარ კომპლექსურ და მასშტაბურ საკითხზე, როგორცაა თანამედროვე ადამიანის დრამის ტემპარითი არსი.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ქართული სპექტაკლის რეჟისორის მიზანი ჩვენი ყურადღების მიმართვა იყო ისეთი საკითხისა თუ პრობლემისადმი, რომელსაც თითოეული ჩვენგანის პიროვნული თუ მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობა ეწოდება. დიას, ვიდრე რაიმე ნაბიჯს გადავდგამთ, სერიოზულ გადაწყვეტილებას მივიღებთ და მის რეალურ ხორცშესხმას შევუდგებით, კარგად უნდა დავფიქრდეთ, სიღრმისეულად უნდა გავანალიზოთ, ავწონ-დავწონოთ ის მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც ჩვენს ქმედებას შეიძლება მოჰყვეს... რაც არ უნდა კეთილი, ჰუმანური, ნათელი ზრახვები გვამოძრავებდეს, აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას მოუტანს ჩვენი საქციელი ჩვენს გვერდით მყოფებს, ახლობელ თუ უცნობ ადამიანებს. ისინი, ჩვენდა უნებურად, სრულიად გაუაზრებლად შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, უნებლიედ, მსხვერპლის როლში აღმოჩნდნენ; ისევე როგორც ეს ნანი ჩიქვინიძის მიერ განსახიერებულ მოლი სუინს დაემართა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- თუმანიშვილი, მიხეილ, სანამ რეპეტიცია დაიწყება, თბილისი, 2008.
- კიკნაველიძე, თამარ, „თეატრალური ფესტივალის შავ-თეთრი დღეები“, პრესა, 10 ნოემბერი - 2 დეკემბერი, 2010.
<https://tbilisiinternational.com/ge/press-office/press/41/teatraluri-pestivalis-shav-tetri-dgeebi> (10/04/2022)
- ქართული სპექტაკლების პროგრამა 2010. <https://tbilisiinternational.com/m/u/repositories/35/27/edrG-wkrR0K9nY-5SDvurg/2010.pdf> (10/04/2022)
- ქუთათელაძე, თამარ, „ბრმა მხედველი“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, N6, 2010, გვ.27-28. https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/128592/1/Teatri_Da_Tsxovreba_2010_N6.pdf (10/04/2022)
- ლოლბერიძე, ირინა, „რეჟისორი - რომელიც არ ჩანს“, Theatrelife. Ge, 14 იანვარი, 2011.
<https://www.theatrelife.ge/temurchkheidze> (10/04/2022)

-
-
- A History of the Guthrie Theater https://www.guthrietheater.org/globalassets/pdf/guthrie_history.pdf (10/04/2022)
 - Billington, Michael, „G is for Tyrone Guthrie“, 2012, 24 Jan. <https://www.theguardian.com/stage/2012/jan/24/g-for-tyrone-guthrie> (10/04/2022)
 - Billington, Michael, „Molly Sweeney – review“, 2013, 03 apr. <https://www.theguardian.com/stage/2013/apr/03/molly-sweeney-review> (10/04/2022)
 - Brown, Andrew. „Seeing double,“ The Guardian, 2005, 5 Mar. <https://www.theguardian.com/books/2005/mar/05/booksonhealth.whauden> (10/04/2022)
 - Christopher Murray, „Brian Friel’s Molly Sweeney and its Sources: a Postmodern Case History“, Parcourir Les Collections, 1999. https://www.persee.fr/doc/irlan_0183-973x_1998_num_23_2_1456 (10/04/2022)
 - Drediman, „Viewpoints – Powerful Digital Revivals Of Brian Friel’s Faith Healer And Molly Sweeney Reveal A Master At Work“, Interludes Musings On The State Of The Arts, 2021, January 27. <https://www.adriandimanlig.com/viewpoints-powerful-digital-revivals-of-brian-friels-faith-healer-and-molly-sweeney-reveal-a-master-at-work/> (10/04/2022)
 - Lantern Theater Company, „To See and Not See“: Vision, Understanding and Oliver Sacks The science behind Brian Friel’s Molly Sweeney and the article that inspired the play, 2021, Feb 10. <https://medium.com/lantern-theater-company-searchlight/to-see-and-not-see-vision-understanding-and-oliver-sacks-9c714aeea8a2> (10/04/2022)
 - Lantern Theater Company, Brian Friel: The „Irish Chekhov“, 2021, Feb 22. <https://medium.com/lantern-theater-company-searchlight/brian-friel-the-irish-chekhov-ff5bc9adb235> (10/04/2022)
 - Lomadze, Maka, „Brian Friel’s ‘Molly Sweeney’ on the Georgian Stage“, Georgia Today, 2017, 19 Jan. <http://gtarchive.georgiatoday.ge/news/5640/Brian-Friel%E2%80%99s-%E2%80%98Molly-Sweeney%E2%80%99-on-the-Georgian-Stage> (10/04/2022)
 - Peter Crawley of The Irish Times and Fiach Mac Conghail of The Abbey Theatre, „Brian Friel, the best known playwright of his generation Major plays include Philadelphia, Here I Come! and Dancing at Lughnasa“, 2015, Oct 2. <https://www.irishtimes.com/culture/brian-friel/obituary-brian-friel-the-best-known-playwright-of-his-generation-1.2375969> (10/04/2022)
-
-

- Sacks, Oliver W., An anthropologist on Mars: seven paradoxical tales. 1995. <https://jm919846758.files.wordpress.com/2019/06/an-anthropologist-on-mars-by-oliver-sacks-complete-text-formatted-for-microsoft-word.pdf> (10/04/2022)
- Ting, Eric, An Interview with Director Charlotte Moore from „Molly Sweeney“. <https://www.youtube.com/watch?v=5faC79fn9F4&t=51s> (10/04/2022)

THEATRE STUDIES

Tinatin Gabelaia

Shota Rustaveli Theater and Film State University of Georgia,

PhD student

Scientific Supervisor – Giorgi Tskitishvili,

Doctor of Arts, Professor

WOMAN'S DRAMA ON STAGE

(On the example of one of Temur Chkheidze's plays)

Keywords: Contemporary Georgian Theater. Directed Temur Chkheidze. The play "Blind Seer (Molly Sweeney)". Playwright Brian Friel. Actors: Nani Chikvinidze, Aleko Makharoblishvili, Gia Burjanadze.

The subject of research is the human drama in the recent work of the famous Georgian director Temur Chkheidze – “Blind Seer – Molly Sweeney.” I took the character of Molly Sweeney, the playwright recognized as an “Irish Chekhov” as the object of study. I will discuss the peculiarity of Chkheidze’s understanding of the issue of Molly. The aim of the paper is to determine how comprehensively Molly Sweeney’s drama was reflected in the Georgian theater? Are Georgian audiences as excited about this character as they are about the unforgettable artistic faces of famous women in the history of theater?

The urgency of the research topic stems from the fact that before and now, not only in Georgia but also in the world, what bothers, torments and does not allow a person to be completely happy, is still the object of study in the field of science and art. In the theatrical art, Molly Sweeney’s persona is interesting not only because her story is based on real research, that the writer was inspired by the writings of Oliver Sacks, it also arouses interest in the fact that it originally pushes us to delve into the true essence of modern human drama. Molly’s character reflects on the fate of the people whose salvation is entrusted to them as a result of a blind experiment.

Thinkers living under the pressure of the pandemic have a dual attitude towards medical experiments. On the one hand, the

expectation of sensational, beneficial discovery is refuted by the damaging results of high-profile studies. A keen interest in medical experiments has been relevant from previous centuries to the present, but we must not forget that there were real individuals whose drama is part of this failed experiment in the name of “progress.” In the Georgian staged version, even the middle-aged Molly will be the victim of such a pilot study. A medical experiment, the main priority of which, as it turns out, is not considered to be the psycho-somatic health of a person. Probably, we can not attribute the attempt to “baptize” a blind woman as a spectator. My work is an attempt to analyze how the issue of Molly Sweeney was reflected in the modern Georgian theater, in the work of one of the recognized Georgian directors of recent years. Molly Sweeney, to whom a number of critical letters were addressed by foreign and Georgian theater critics in their critical letters.